To the National Association of Local Authorities

# A letter of Recommendation for Oni Municipality For Best Municipal Practices

It is with great pleasure that I offer my highest recommendation for Oni Municipality as a candidate for the best municipal practices contest.

Since 2022, I have been working as a Technical Advisor to the Ministry of Education and Science (MOES) of Georgia, assigned through the Japan International Cooperation Agency (JICA). Under the common vision of enhancing equitable access to quality early childhood education and care (ECEC), I have closely worked with Oni Municipality. The municipality's leadership and commitment to ensuring quality ECEC service for all young children have been truly exceptional.

Quality ECEC is vital for a child's healthy development, shaping cognitive, social, and emotional competencies. However, access to quality ECEC is not uniformly distributed across communities and regions in Georgia. The standard public kindergarten model is effective in certain contexts but may fall short in including children in remote regions with limited access to resources, like Oni.

Against this backdrop, the MOES and its partners consider diversifying ECEC provisions as a potential game-changer. Alternative and flexible ECEC models – such as home-based or school-based provisions – can effectively respond to diverse needs and contexts, including remote areas, economically disadvantaged communities, and those with unique cultural or religious backgrounds.

For the past years, Oni municipality has committed to supporting home-based and school-based ECEC services in distant villages. By leveraging innovative approaches and community-driven initiatives, these models have offered a glimmer of hope for children and families previously marginalised by the limitations of traditional preschool systems.

Based on the experience of Oni Municipality, the MOES, in partnership with JICA and other agencies, is currently compiling a national concept note and policy recommendations for diversifying ECEC models, which will be considered by the parliament in 2024. The municipality's innovative practices and commitment towards leaving no one behind in quality ECEC opportunities should deserve wider recognition.

I offer Oni Municipality my highest recommendation. For further information, please do not hesitate to contact me.

Yours sincerely,
Masahiro Kato
加藤 正寛

JICA Early Childhood Development Advisor, Early and Preschool Education Division, Ministry of Education and Science of Georgia
Email: mkato@mes.gov.ge
Mobile: +995 591 322 809

**მასაჰირო კატო**
JICA ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების მრჩეველი
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი განათლების სამმართველო

ადგილობრივი მმართველობების ეროვნულ ასოციაციას

ონის მუნიციპალიტეტის "საუკეთესო მუნიციპალური პრაქტიკის" კონკურსში მონაწილეობის

# სარეკომენდაციო წერილი

დიდი სიამოვნებით ვუწევ რეკომენდაციას ონის მუნიციპალიტეტს საუკეთესო მუნიციპალური პრაქტიკის კონკურსში მონაწილეობისთვის.

2022 წლიდან იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) მივლინებით, ვმუშაობ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ტექნიკურ მრჩევლად. ხარისხიანი ადრეული განათლებისა და ზრუნვის თანაბარი ხელმისაწვდომობის (ECEC) საკითხებში, მე მჭიდროდ ვთანამშრომლობ ონის მუნიციპალიტეტთან. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულად მოწოდინებულია უზრუნველყოს ხარისხიანი სკოლამდელი განათლების სერვისით მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა მცირეწლოვანი ბავშვი.

ხარისხიანი სკოლამდელი განათლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბავშვის ჯანსაღი განვითარებისთვის, მისი კოგნიტური, სოციალური და ემოციური კომპეტენციების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. თუმცა, ხარისხიან სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობა არ არის თანაბრაად განაწილებული საქართველოს თემებსა და რეგიონებში. საჯარო საბავშვო ბაღის სტანდარტული მოდელი ეფექტურია გარკვეულ კონტექსტში, თუმცა მასზე წვდომა შეზღუდულია ისეთ შორეულ რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისთვის, როგორიცაა ონი.

ამის გათვალისწინებით განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო და მისი პარტნიორები განიხილავენ სკოლამდელი განათლების დივერსიფიკაციას. ალტერნატიული და მოქნილი სკოლამდელი განათლების ისეთ მოდელებს, როგორიცაა სახლში დაფუძნებული ან სკოლაში დაფუძნებული სერვისი, შეუძლიათ ეფექტურად უპასუხონ სხვადასხვა საჭიროებებსა და კონტექსტებს, მათ შორის შორეულ რეგიონებში მცხოვრებ, ეკონომიკურად დაუცველ, განსხვავებული კულტურისა და რელიგიის მქონე თემების საჭიროებებს.

გასული წლების განმავლობაში, ონის მერმა და მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა აიღეს ვალდებულება მხარი დაუჭირონ სახლში და სკოლაში დაფუძნებულ სკოლამდელი განათლების სერვისების დანრგვას მუნიციპალიტეტის შორეულ სოფლებში. ინოვაციური

მიდგომებისა და საზოგადოებაზე ორიენტირებული ინიციატივების გამოყენებით, ამ მოდელებმა შესთავაზეს ადრეული განათლებისა და ზრუნვის კრიტიკული სერვისები ბავშვებისთვის და ოჯახებისთვის, რომლებისთვისაც აქამდე მიუწვდომელი იყო სოფლებში ტრადიციული სკოლამდელი მოდელების არ არსებობის გამო. ეს სერვისები გადამწყვეტ როლს თამაშობენ მოსახლეობის სხვა რაიონებში მიგრაციისგან თავის დასაცავად, რაც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის მდგრადობასა და საარსებო წყაროს.

ონის მუნიციპალიტეტის გამოცდილებაზე დაყრდნობით, სამინისტრომ, JICA-სთან და სხვა სააგენტოებთან პარტნიორობით, შეიმუშავა სკოლადმდელი განათლების დივერსიფიკაციის ეროვნული კონცეფცია და პოლიტიკის რეკომენდაციები. ონის მუნიციპალიტეტის ინოვაციური მიდგომა უზრნველყოფს ყველა ბავშვის ჩართულობას ხარისხიან სკოლამდელ ზრუნვასა და განათლებაში, რაც იმსახურებს ფართო აღიარებას.

მე ვუწევ ჩემს რეკომენდაციას ონის მუნიციპალიტეტს. დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დამიკავშირდეთ.

პატივისცემით,
მასაჰირო კატო

JICA ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების მრჩეველი
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი განათლების სამმართველო

Email: mkato@mes.gov.ge
Mobile: +995 591 322 809

14.11.2024

ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნლ ასოციაციას

2024 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამა

სარეკომენდაციო წერილი

მინდა გამოვხატო მხარდაჭერა ონის მუნიციპალიტეტის პროექტის მიმართ. მინდა აღვნიშნო, რომ მისი განხორციელება მოყვა მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წელს ევროპის საბჭოს პროექტის "მონაილეობითი დემოკრატია და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში (პროექტი განხორციელდა ათეასთან თანამშრომლობით) ფარგლებში ჩატარებულ საქმიანობას. კერძოდ, საბაზისო კვლევამ და მუნიციპალიტეტში ჩატარებულმა შეფასებამ ერთერთ პრიორიტეტად დასახა სერვისის ხელმისაწვდომობის გაზრდა და მუნიციპალიტეტმა აიღო ვალდებულება ადამიანის უფლებების ლოკალიზაციისთვის სკოლამდელი განათლების სერვისი, როგორც განათლების უფლების რეალიზაციის საშულება, ხელმისაწვდომი ყოფილიყო უკლებლივ ყველა ბავშვისთვის.

მე მოხარული ვარ, რომ საკონკურსოდ წარმოდგენილი წინადადება სრულად შეესაბამება აღებულ ვალდებულებებს. მეტიც, 2023 წელს განხორციელებული საქმიანობა არ არის ერთჯერადი, გაგრძელდა 2024 წელს და ბიძგი მისცა სკოლამდელ განათლებაზე ხელმისავდომობის გაზრდას სხვა მუნიციპალიტეტებში.

აუცილებლად მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ონის მუნიციპალიტეტმა ამ ვალდებულებების შესრულებისთვის დანერგა სკოლამდელი განათლების ალტერნატიული ფორმები, რაც თანხვედრაშია და შესაბამისად აისახა 2024 წელს განათლების სამინისტროს მიერ მომზადებულ ანგარიშში სკოლამდელი განათლების დივერსიფიკაციაზე და ალტერნატიულ მოდელებზე საქართველოში.

მინდა საკონკურსო კომისიას მოვუწოდო მხარი დაუჭირონ პროქტს.

პატივისცემით,

გიორგი მესხიძე

14/11/2024

To: ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნლ ასოციაციას

2024 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამა

სარეკომენდაციო წერილი

ამ წერილით, მსურს გამოვხატო კივიტას გეორგიკას მარდაჭერა ონის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის მიმართ. პროექტი ეხება სკოლამდელი განათლების მომსახურებაზე ხელმისწავდომობის გაზრდას ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა ბავშვისთვის.

ჩემთვის პირადად და ჩვენი ორგანიზაციისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამორჩეულად იყოს აღნიშნული ინიციატივები, რომელიც ეხება ბავშვებს, მათ უფლებებს და მდგომარეობას საქართველოში. ამ მხრივ, მუნიციპალიტეტის მიერ გადადგმული ნაბიჯები, როგორც ბავშვების რაოდენობის დაზუსტებისთვის, ისე შესაბამისი დივერსიფიცირებული ფორმების შერჩევისთვის და დანერგვისთვის უსათუოდ გამორჩეულია.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ, ონის მუნიციპალიტეტმა შეძლო აღმოეჩინა მხარდაჭერა არა მხოლოდ ბავშვებისთვისთვის, არამედ მათი ოჯახებისთვის მთლიანად, განსაკუთრებით, დედებისთვის. მე მოხარული ვარ, რომ ჩვენს ორგანიზაციასაც მიუძღვის მცირედი წვლილი ინიციატივის განხორციელებაში.

დარწმუნებული ვარ, რომ საკონკურსოდ წარმოდგენილი საუკეთესო პრაქტიკა გამორჩეულია და მისი აღნიშვნა და მხარდაჭერა ათეას მიერ ხელს შეუწყობს გაზიარებას და გავრცელებას სხვა მუნიციპალიტეტებში.

პატივისცემით,

მაია ნასრაშვილი

კივიტას გეორგიკას პრეზიდენტი